

საქართველოს კანონი
საქართველოს თავდაცვის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვისა და თავდაცვის დაგეგმვის მნიშვნელობასა და უზრუნველყოფას, საქართველოს სამხედრო ძალების მისიასა და მართვას, თავდაცვის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 2. კანონის სამართლებრივი საფუძვლები

ეს კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, სხვა ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 3. თავდაცვის ორგანიზაცია

ამ კანონის მიზნებისთვის საქართველოს კონსტიტუციის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თავდაცვის ორგანიზაცია მოიცავს:

- ა) სამხედრო ძალების სტრუქტურის დამტკიცებას;
- ბ) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადებას;
- გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემას;
- დ) საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს კანონით დადგენილი წესით სამხედრო ძალების გამოყენებას;
- ე) სამხედრო ძალების აღმშენებლობის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

მუხლი 4. თავდაცვის უზრუნველყოფა

1. თავდაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტისა და საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის შესაბამისად.

2. ამ კანონის მიზნებისთვის თავდაცვის უზრუნველყოფა ეფუძნება შემდეგ მიმართულებებს:

- ა) სამხედრო საფრთხეების იდენტიფიცირება, შეფასება და პროგნოზირება;
- ბ) სამხედრო ძალების განვითარება, მომზადება და საბრძოლო მზადყოფნა;
- გ) შეიარაღებული ძალების რეზერვის მომზადება;

დ) ქვეყნის ეკონომიკის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციების, მოსახლეობის საომარი მდგომარეობისათვის მომზადება და სამობილიზაციო ღონისძიებათა ერთობლიობა;

ე) თავდაცვის მიზნებისათვის მატერიალური და ფინანსური რეზერვების შექმნა;

ვ) ქვეყნის ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების თავდაცვითი მიზნებისათვის მომზადება;

ზ) საერთაშორისო თანამშრომლობა კოლექტიური უსაფრთხოებისა და სამხედრო-ტექნიკურ საკითხებში;

თ) თავდაცვის სფეროს რესურსებით უზრუნველყოფა;

ი) სამხედრო მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარება;

კ) თავდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

თავი II. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა, თანამდებობის პირთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საქართველოს მოქალაქეთა უფლებამოსილებები და ვალდებულებები თავდაცვის სფეროში

მუხლი 5. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებები თავდაცვის სფეროში საქართველოს პარლამენტი:

ა) განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს თავდაცვის სფეროში;

ბ) იღებს კანონებს თავდაცვის სფეროში;

გ) ამტკიცებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას;

დ) ამტკიცებს სამხედრო ფიცის ტექსტს;

ე) ამტკიცებს სამხედრო ძალების რაოდენობას;

ვ) ახდენს სამხედრო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას;

ზ) ახორციელებს კონტროლს თავდაცვის სფეროში საქართველოს სამხედრო ძალების განვითარებასა და საქართველოს კანონმდებლობის შესრულებაზე.

მუხლი 6. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები თავდაცვის სფეროში საქართველოს პრეზიდენტი:

ა) ამტკიცებს საქართველოს სამხედრო ძალების სტრუქტურას;

ბ) ანიჭებს უმაღლეს სამხედრო და სპეციალურ წოდებებს და სახელმწიფო ჯილდოებს;

გ) საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს;

დ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;

ე) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფის და ეპიდემიის დროს, ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;

ვ) იღებს გადაწყვეტილებას:

ვ.ა) სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენების და გადაადგილების შესახებ და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ;

ვ.ბ) სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად.

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადენილი წესით დებს სამხედრო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

თ) იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე მობილიზაციის გამოცხადების შესახებ და საქართველოს კანონმდებლობით დადენილი წესით ეს გადაწყვეტილება შეაქვს საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

მუხლი 7. ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებები თავდაცვის სფეროში
ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებები თავდაცვის სფეროში განისაზღვრება „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

მუხლი 8. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებები თავდაცვის სფეროში

1. საქართველოს მთავრობა:

ა) შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტს;

გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს „საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას“;

დ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს „საქართველოს თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვას“;

ე) საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობას და დაქვემდებარების წესს;

ვ) ამტკიცებს საჯარისო წესდებებს, ან განსაზღვრავს საჯარისო წესდებების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს;

ზ) ამტკიცებს საქართველოს სამხედრო ძალების განვითარების, გამოყენებისა და მობილიზაციის გეგმებს, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო გეგმებს;

თ) ამტკიცებს ქვეყნის ტერიტორიის მოწყობის სამხედრო-ოპერატიულ და საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს;

ი) იღებს აუცილებელ ზომებს ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

კ) უზრუნველყოფს საქართველოს სამხედრო ძალებს თავდაცვის ეფექტიანობისათვის საჭირო რესურსებით;

ლ) უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

მ) ამტკიცებს შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის განვითარების სახელმწიფო პროექტებს;

ნ) ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სიმბოლიკას, დროშებსა და აღმებს. სიმბოლიკის, დროშებისა და აღმების გამოყენების წესს ნორმატიული აქტით ადგენს საქართველოს თავდაცვის მინისტრი;

ო) საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს;

პ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და სხვა საკანონმდებლო აქტებით თავდაცვის სფეროში მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებები ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საქართველოს ტერიტორიაზე მათ დაშვებას უზრუნველყოფენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 9. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს უფლებამოსილებები თავდაცვის სფეროში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს უფლებამოსილებები თავდაცვის სფეროში განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 10. თავდაცვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის დელეგირებული უფლებამოსილებები თავდაცვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის დელეგირებული უფლებამოსილებები განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 11. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საქართველოს მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობები თავდაცვის სფეროში საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა (განურჩევლად მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა), აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი თავდაცვის სფეროში განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი III. საქართველოს სამხედრო ძალების მისია, შემადგენლობა და მართვა

მუხლი 12. საქართველოს სამხედრო ძალების მისია

1. საქართველოს სამხედრო ძალების მისიაა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, აგრეთვე საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება.

2. საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სამხედრო ძალების გამოყენება საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად.

მუხლი 13. საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენლობა

1. საქართველოს სამხედრო ძალები შედგება საქართველოს შეიარაღებული ძალებისაგან, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ერთეულებისაგან.

2. საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობასა და დაქვემდებარების წესს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით, დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 14. საქართველოს სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა და მართვა

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის საქართველოს შეიარაღებული ძალების სახელმწიფო მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს სამოქალაქო კონტროლს შეიარაღებულ ძალებზე და პასუხისმგებელია მათ მომზადებაზე, განვითარებაზე და მათთვის დაკისრებული თავდაცვითი ამოცანების შესრულებაზე.

3. საქართველოს თავდაცვის მინისტრი არის სამოქალაქო პირი, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნასთან, განვითარებასა და თავდაცვითი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებების განახორციელებაზე.

4. საქართველოს თავდაცვის მინისტრი უზრუნველყოფს სამინისტროსთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებას სამინისტროს სამოქალაქო ოფისის მეშვეობით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ფუნქციებია:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის პოლიტიკური ხელმძღვანელობის განხორციელება და თავდაცვის უწყებრივი პოლიტიკის წარმართვა;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს თავდაცვის პოლიტიკისა და ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების პროცესში მონაწილეობა და უწყებრივი დონის დოკუმენტების შემუშავება;

გ) თავდაცვის განსახორციელებლად საჭირო რესურსების დაგეგმვა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნისთვის საჭირო მატერიალურ-ფინანსური პროექტების შემუშავების უზრუნველყოფა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში თავდაცვის ბიუჯეტისა და მატერიალური ფასეულობების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე ზედამხედველობა;

ე) საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებისათვის აუცილებელი პროგრამებისა და გეგმების შემუშავება;

ვ) ქვეყნის თავდაცვითი ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების განვითარების პოლიტიკის შემუშავება;

ზ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში განათლებისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

თ) თავდაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის წარმართვა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შემუშავება;

ი) შეიარაღებული ძალების რეზერვის შექმნის და მობილიზაციის სისტემის პოლიტიკის განსაზღვრა.

6. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს ხელმძღვანელობს გენერალური შტაბის უფროსი, რომელიც არის საქართველოს პრეზიდენტის – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო მრჩეველი და ანგარიშვალდებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინაშე;

7. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი უშუალოდ ხელმძღვანელობს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს;

8. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით;

9. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი შეიარაღებული ძალების, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს - სამხედრო ძალების, მართვასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეშვეობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ფუნქციებს და უფლებამოსილებებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით, დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

11. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი:

ა) მონაწილეობს თავდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და ეროვნული სამხედრო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში;

ბ) ახორციელებს საქართველოს სამხედრო ძალების გამოყენების სტრატეგიულ დაგეგმვას თავდაცვის საკითხებში;

გ) მართავს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს - სამხედრო ძალებს;

დ) განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნებს;

ე) შეიმუშავებს რეზერვის მომზადების პროგრამებს და ორგანიზებას უწევს სამხედრო-სარეზერვო სამსახურის გავლას;

- ვ) შეიმუშავეს ქვეყნის სამოხილიზაციო გეგმებს;
 - ზ) ორგანიზებას უწევს საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებას;
 - თ) განსაზღვრავს სამხედრო განათლების პოლიტიკას;
 - ი) ახორციელებს სადაზვერვო და საინფორმაციო-ანალიტიკურ საქმიანობას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
 - კ) ორგანიზებას უწევს საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადებას დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;
 - ლ) ახორციელებს სამხედრო თანამშრომლობას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად;
 - მ) უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალებისათვის საჭირო ლოგისტიკური მარაგების დაგეგმვასა და მათი გადანაწილების კოორდინაციას;
 - ნ) უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეთა მიერ სამხედრო სამსახურის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლას;
 - ო) მონაწილეობს სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების განხორციელებაში;
 - პ) განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების დისლოკაციისა და სამხედრო ობიექტების განლაგების გეგმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს თავდაცვის მინისტრს;
 - ჟ) ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
12. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სამთავრობო დაწესებულებები მონაწილეობენ:
- ა) შეიარაღებული ძალების ოპერატიული გეგმების შემუშავებაში;
 - ბ) ქვეყნის ტერიტორიისა და კომუნიკაციების თავდაცვისათვის მომზადების გეგმების შემუშავებაში;
 - გ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან ერთად საბრძოლო და სამოხილიზაციო მომზადებაში.

თავი IV. ეროვნული თავდაცვის დაგეგმვა

მუხლი 15. ეროვნული თავდაცვის დაგეგმვა

თავდაცვის დაგეგმვა არის ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის ნაწილი, რომელიც მოიცავს შეიარაღებულ ძალთა, შეიარაღების, რესურსების, ლოგისტიკური უზრუნველყოფის დაგეგმვას, მართვასა და კონტროლს, აგრეთვე კრიზისული სიტუაციების და საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში ქვეყნის თავდაცვისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვას მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის.

მუხლი 16. სახელმწიფო დაწესებულებების როლი თავდაცვის დაგეგმვის პროცესში

1. სახელმწიფო დაწესებულებები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელი არიან ეროვნული თავდაცვის დაგეგმვის პროცესის მხარდაჭერაზე.

2. თავდაცვის დაგეგმვის პროცესში წამყვან უწყებას წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

3. უწყებათაშორის და სამთავრობო დონეზე თავდაცვის დაგეგმვის მაკოორდინირებელ უწყებას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, რომელიც შეიმუშავებს თავდაცვის უწყებათაშორისი დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო პოლიტიკასა და პროცედურებს.

მუხლი 17. კრიზისული სიტუაციების და საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში მოქმედებების დაგეგმვა

1. კრიზისული სიტუაციების და საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს წინასწარი მოქმედებების დაგეგმვა გულისხმობს სამხედრო მოვლენების ან ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს ადეკვატური მოქმედებების დაგეგმვასა და განხორციელების უნარს.

2. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავებას ეროვნული თავდაცვის დაგეგმვის პროცესში საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს;

3. საგანგებო, საომარი, კრიზისული და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების დროს ეროვნული თავდაცვის დაგეგმვის უწყებათაშორის კოორდინაციას წარმართავს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო.

4. საქართველოს შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან დაკავშირებულ სამხედრო დაგეგმვას ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი საქართველოს პრეზიდენტის, ეროვნული უშიშროების საბჭოს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ან/და საქართველოს მთავრობის სხვა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირების ხელმძღვანელობით.

მუხლი 18. თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტები

1. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა და სხვა სახელმწიფო უწყებები თავდაცვის დაგეგმვის პროცესის ხელმძღვანელობას ახორციელებენ თავდაცვის დაგეგმვის შემდეგი ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების მეშვეობით:

- ა) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
- ბ) საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი;
- გ) საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია;
- დ) თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი.

2. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებს და გამოწვევებს და ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას“ საქართველოს მთავრობის წარდგინებით დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

3. „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი“ ასახავს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის არსებითი საშიშროების მქონე სამხედრო, საგარეო და შიდა პოლიტიკურ, ტრანსნაციონალურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ბუნებრივ და ტექნოგენურ საფრთხეებსა და გამოწვევებს. მას შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია“ განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკას, ეროვნულ სამხედრო მიზნებსა და ამოცანებს, საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებებს და მათი განხორციელების გზებს. ეროვნული სამხედრო სტრატეგია ეფუძნება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას“ და ითვალისწინებს „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტში“ აღწერილ საფრთხეებს.

5. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის განახლება ხდება საჭიროებისამებრ, ქვეყნის უსაფრთხოების გარემოს არსებითი ცვლილებების და/ან თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში პოლიტიკის, პრიორიტეტების თუ ტენდენციების შესაბამისად, შეიარაღებული ძალების განვითარების ახალი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. „საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

6. „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა“ საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითად მიმართულებებს, შეიარაღებული ძალების სამომავლო სტრუქტურას (განსაზღვრული პერიოდით) და შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამდლების გზებს. „საქართველოს თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვას“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 19. თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული ხასიათის დოკუმენტები

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავდაცვის დაგეგმვას ახორციელებს ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტებით განსაზღვრული პრიორიტეტების მხარდამჭერი გეგმების, ღონისძიებებისა და პროგრამების, ასევე სამომავლო ხედვის შემუშავებას შემდეგი უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული სახის დოკუმენტების მეშვეობით:

- ა) საქართველოს თავდაცვის მინისტრის ხედვა;
- ბ) თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო;
- გ) თავდაცვის პროგრამები;
- დ) თავდაცვის სისტემის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტები, დებულებები, ოპერატიული გეგმები.

2. „საქართველოს თავდაცვის მინისტრის ხედვა“ წარმოადგენს უწყებრივი დონის კონცეპტუალურ დოკუმენტს, რომელიც ასახავს მოკლევადიანი პერიოდისათვის სახელმწიფოს თავდაცვის პრიორიტეტულ მიმართულებებსა და დაგეგმილ ღონისძიებებს. დოკუმენტს ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

3. „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ წარმოადგენს უწყებრივი დონის კონცეპტუალურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარების მხარდამჭერ პროგრამებს და ადგენს მითითებებს თავდაცვის სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებისათვის. თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, თავდაცვის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების პროცესში განსაზღვრავს თავდაცვის პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნებისა და შესაძლებლობების განვითარებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს. თავდაცვის პროგრამებს ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

5. თავდაცვის სისტემის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტების, დებულებებისა და ოპერატიული გეგმების შემუშავება ხორციელდება ამ კანონში აღნიშნული დოკუმენტების გათვალისწინებით. მათ ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

6. თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის სამართლებრივი აქტები გამოიცემა არაუგვიანეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსაზღვრულ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ვადებისა.

თავი V. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

მუხლი 20. თავდაცვის დაგეგმვის საპარლამენტო კონტროლი

თავდაცვის დაგეგმვის საპარლამენტო კონტროლს ახორციელებს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი.

მუხლი 21. თავდაცვის სისტემის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წელიწადში არანაკლებ ერთხელ წარუდგენს მოხსენებას საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს წარუდგენს ინფორმაციას განსაზღვრულ არასაიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, თუ:

ა) შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 (ორ მილიონ) ლარს;

ბ) შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება აღემატება 4 000 000 (ოთხ მილიონ) ლარს.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ნდობის ჯგუფს წარუდგენს ინფორმაციას განსაზღვრულ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 (ორ მილიონ) ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 (ოთხ მილიონ) ლარს.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს მთავრობას საქართველოს პარლამენტის ინფორმირების მიზნით, წარუდგენს:

ა) ინფორმაციას თავდაცვის სისტემისა და შესაძლებლობების განვითარების შესახებ;

ბ) რეგულარულ ანგარიშს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ და ასევე მოხსენებას თავდაცვის სფეროში ორმხრივი ურთიერთობების პროგრესის შესახებ.

მუხლი 22. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოველწლიური ბიუჯეტი არ უნდა იყოს შესაბამისი წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ზე ნაკლები.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 23. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები.

ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში:

ა) საქართველოს პრეზიდენტმა უზრუნველყოს ამ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთეულების განსაზღვრა;

ბ) საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობის დამტკიცების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობისათვის შესაბამისი დადგენილების პროექტის წარდგენა.

თავი VII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის (პარლამენტის უწყებანი, 45, 21/11/1997) და „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ 2006 წლის 28 აპრილის (სსმ, 16, 16/05/2006) საქართველოს კანონები.

მუხლი 25. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი